



ნახ. ნადარეიშვილი

მეზობრანტი: — თქვენ კარგად ხე ვხედავთ, რადგან და მუშაობთ იმხანი მთაწაზე. ეს ყველაფერი თქვენი იქნება, თორღე უფლით ჩვენს მღოგმარობაში და დაზვიგრუნეთ!

კავიბ.: — დიახ, თქვენი ძველების სიგლიდრა ჩვენს ვიცით, სწორედ ამიტომ თანაბი-ბრძოლთ, და თქვენს მღოგმარობაშიც უვვლივართ, მაგ რამ უკანვე ბამოვლივართ, რადგან, ხომ ხელავთ — ვინ დაკაჯობს!?

მეზობრანტი (თავისთვის): — იმე, რა ყრფილა აბი! იმის რომ არ მეზინოლეს, აბა რაცხას მეც მე ვიჯამდი, ბოზო!

თეიკოვ.
1933 წ.
№ 4.
ფ. 40 კაპ.

25 თებერვალი

ოცდახუთი თებერვალი
გაგითენდეთ თქვენ ბრწყინვალე,
თუ საბჭოების წინაშე
მოხდითი გაქვთ თქვენი ვალი!

ოცდა ხუთი თებერვალი!
გაგითენდეთ კვლავ შრავალი,
თუ საბჭოებზე არა ხართ
უმაღლური და გულმწყრალი!

ოცდა ხუთი თებერვალი!
მოგილოცოთ ვარ მსურველი,
თუ მის შემოქმედებაში
ამხნეობა თქვენში ხელი!

ოცდა ხუთი თებერვალი!
გვიბრწყინადებს უნდა თვალი,
რომ უამრავ მანქანების
ტრიალებენ ღერძ-ბორბალი!

ოცდა ხუთი თებერვალი!
მოგიწოდებს ჩვენ მსურველედ,
პურის, ღვინის, სხვა დოვლათის
ცარგი გვამქნის მოსავალი!

ოცდა ხუთი თებერვალი!
ვაი მაშინ თქვენი ბრალი,
თუ არა ვსურთ, რომ საბჭოებს
გაუთენდეს ის ბრწყინვალე! —
დაგიდევთ თქვენ მაშინ თვალი!..
ს. თ—ია.

ყოფილი

ეპ, სული მიწებს, ზღაპრებს
გული ღონდება,
ტურათ გებრდები და სიკვდილი
მიხბლოვდება.
კომუნისტებმა დააქციეს
ჩვენი ქვეყანა,
და მიიტოვეს ალარც სხელი
და ალარც ყანა.
(ეს რა დრო არის,
თმერთო ჩემო, როგორი ხანა!)
მღვდლებს და დიაკვნებს სიბერის
დროს
მოუძებეს ლუკმა,
ყველა მას გბრძვის სოფლის
გლები,

ფილა თუ ლუკა,
ქალაქში დიდი სახლები და
დღეებში მქონდა,
და სიბალისით გული ჭემი
ჩიტივით თრთოდა.
წაიღეს იგიც, ჩამომართვეს
სახლები ყველა,
გამაბითურეს, წამახდინეს,
არ არის შეველა,
და ჩემს მიწებზე ააშენეს
დიდი ქარხნები,
ქარხნების გარდა თან ააგეს
დიდი სახლები,
შორია, გათავდა, ალარ მწყალობს
აწი ბელია.
რას ვინამ უნდა შეუთრიოე,
ჩემი ხვედრია.

გელა-გარდია

ნახ. კოჭიაშვილის.



თებერვალი დადგაო, უხეი წყალში ჩადგაო

მენ რა გეგონა, ბეკონა?!

ქართული
გრაფიკა



ძმაო ბეკო,
ჩანს, არ გეყო
ჩემი თრევა,
ჩემი ცდენა:
წაგოგდია
მაგი ენა,
აწრობინებ
შემდეგ კალმს,
კაცს არ მისცემ
ისე სალამს,
რომ საბჭოთა
წყობილებას
არ უქაღდე
გაწობილებას.
ჯერ შევპირდი
ორის კვირით
ამოგდებას
ფესვით, ძირით...
მაგრამ დახე:
ცამეტ წელში
აქვს უფლება
მტკიცედ ხელში!
კოლექტივი
რომ დაარსდა,
შეიი გული
ლამის გასქდა.
შემდეგ მწერდი:
„ჩემო საბა,
მაგ „კოლხოზში“
შედი, აბა!
მხოლოდ ყურში
უნდა მეთქვა,
რომ შიგნიდან
ააფეთქო!“...
კოლექტივმა
მართლაც ჰფეთქა:
მტრების გული
მთლად განეთქა!
ძველი ეგვი
სულ დამარხა,
მოსაულისთვის
ვიბრძვით ახლა.
ნახევრით რომ
გავადიდოთ,
კომუნისკენ
გვეყვის ხიდათ!
ასე ახლა
ის, ბეკონა,
დასანგრევი
რაც გეგონა!
თურმე ვსურდა
ჩვენი ცდენა
და თავლივით
გქონდა ენა.
დღეს რომ ყველა
გაზდა ცხადი,
მა, თორმეტი
წელიწადი
აწ საბჭოთა
საქართველოში
შენი თავიც
შამოგვეღებო!



ქართვ. ემიგრანტი ნიუ-იორკში

— ეშმაკი ხალხია ეს ამერიკელები ჩვენ ვაპირებდით ასეთი სახლენის აგებას, მაგრამ ამით გაგვიგებს და დავგასწრებს!





ხაზსიძეს უსიყურეობა

დაკრეწილი

იოიბე კვამლი

ნახ. ნადარეიშვილის

ემიგრანტ ხაზსიძეს მართლაც ხა-
სი მოეკიდა ემიგრაციაში ამდენი
ყოფნით. წინაღ იგი უყურადღებოთ
ეპყობოდა საბჭოთა გაზეთებს, მაგ
რამ უკანასკნელ ხანებში დიდ ინტე-
რესს იჩენს ჩვენი პრესის მიმართ.
ვადათავალიერებს ხაზსიძე გაზეთე-
ბის სათაურებს და უჩქროლდება გა-
ყინული სისხლი.

„ბოძოლა ორ ფრონტზე“-იწყება
წერილი.

— ბიჭო გესმის? უკვე დაწყებუ-
ლა სამოქალაქო ომი! მე ხომ გეუბნე
ბოდი შეინიდან დაიწყება ომი თქვა!
აგერ თითონ სწერენ, რომ ბოძოლა
ორ ფრონტზე ყოფილა დაწყებული.
„ვიბრძოდლოთ წარმოებში ხარისხის
ამაღლებისათვის“.

— შეხედე, შეხედე! ჩხუბი ქარხნე
ბშიც გადასულა? მე ვიცოდი ასე
რომ მოხდებოდა! ბოლშევიკებს აი-
ტანს ქართველი მუშა?

„გავშალოთ ბრძოლა სოფლის ვარ
დაქმნისათვის“!

— ა ბატონო, ომია სოფლებშიც!
წარმოდგენილი მაქვს, რა დღეში
ჩავარდენ ბოლშევიკები! ვიცი მე
გლეხების ამბავი! რათ უნდა გლეხს
შენი სოციალიზმი! ისიც ბოლშევიკე-
ბის ხელით ამენებული?

„მასები დავრანმით ახალი პოზი-
ციების დასაპყრობათ“!

— ერიპა! ილუშება ხაზსიძე, -იტ
ყობა წინ მიიწევენ ეგ შეჩვენებულე
ბი და ახალი პოზიციების აღებას
აპირებენ! ღმერთო, ნუ გვიზამ საში-
ნელს!

„გამოვასწოროთ გარღვევები
ჩამორჩენილ ფრონტებზე“!

— აპა, აპა! გარღვევებიც პქო-
ნიათ.-გაცოცხლდა ხაზსიძე,-ვიცილი
ასე მოუვიდოდათ! ეს უსათუოდ ჩი-
ვი გამარჯვებით დამთავრდება!


— „ცეცხლი შემარჯვენე და, მე-
მარტხენე“ ხაფრთხის წინააღმდეგ!
არავითარი დანდობა მტერს და მის
აგენტებს!“

— ჰო, ჰო, რა მხეცი ხალობა,
კაცს აღარ ინდობენ, ეტყობა ტყვე-
ებსაც ხოცავენ! ღმერთო ნუ ჩამავ-
ღევ მაგათ ხელში!

— „შევიარადღეთ ტეხნიკისა და
მეცნიერების უახლესი მიღწევე-
ბით!“

— ჰმ! ჰმ! აქ საწყალი კაპიტალის
ტური სახელმწიფოები განიარაღები
სათვის თავებს. იხოცავენ, ბოლშევიკე
ბი კი საქვეყნოდ ისხამენ იარაღს. მა
გათ თოფები ექნებათ, ზარბაზნებიც
ექნებათ, გატენილიც იქნება! ვაი, არ
გაეარდეს მიშველე-ეთ...

და მედგარი ხაზსიძე საბანს იფა-
რებს თავზე. აღლარ-აღლარსან



მას შეიძღვ რაც საქანაველოში წიხი-
ლი დროსა აფრიალდა და დემოკრატიულ
საქართველოს „გმირები“ ევროპაში გადა-
ფრინდენ „ნოვს კილობანით“—იოიბე მვე-
ლაძეს გულის ფრიალი აუტყდა მათი უკან
დაბრუნების ლოდინსაგან...

...აი, ხედავს იოიბე თითქოს ოცნება
აუსრულდა და დაბრუნდენ მისი ოცნების
გმირები და თან ჩამოიყვანეს ევროპიელები
გაპრიალბებულ ტანსაცმელში გამოქიმულნი.
იოიბეს ცხოვრებაც შეიცვალა: იგი
ერთ-ერთ ქარხნის მენატრონია და თავს
თბილად გრძობს.

სკროფინა კი—ის აღარ არის, რაც იყო.
უკვე გამოიცვალა: აბრეშუმის ჩარლსტონი
აქცია და ისე მოხდენით მიაფრიალებს კა-
ბაზე ჩამო იებულ კუდებს, კაცს ახალი
პატარაი ეგონება...

უცებ შეიცვალა იოიბეს თიჩობი: მის
წინ გამოიარა პიონერმა გოგომ, რომელსაც
ყოველთვის „ეკოს“ თვალთ უყოჩებდა
იოიბე. მა იგივე წითელი ყელსაკილი
იქვს, ხელში ბარაბანი უჭი... ის მხიარუ
ლი სახით სითლაც მიაბიჯებს, გაბრაზდა
იოიბე, სისხლი მოაწი- ილში. უნდა რა-
დაცა დაიყვიროს, მაგრამ ვერ ახერხებს.
აი, დაიყვირა კიდევაც, მის წინ მიმავალი
გოგი მოტრიალდა და იოიბეს წინ გაჩე-
რდა.

— ეხლა როგორ გინდა შე აჩამზადე,
შე... შე...ნა, გოგი იცინის და საპასუხოთ
ბრანწს უჩვენებს იოიბეს.

— კიდეც აღარ ისვენებ?—შისძახა იო-
კიმემ გაშმაგებით, და მოიჩინა მოშტი და
ისეთი კი უთავაზა მის გვერდით შწოლარე
სკროფინას, რომ სადემონსტრაციოდ გამო
სულ მუსიკის ხმებს, რომ იჭაურობა არ
გაეყრუებია. სკროფინას ღრიალი განგაშს
ატობდა

ქუჩებში 25 თებერვლის დემონ-
სტრაცია ტარდებოდა.

საბან



ამგავი არც ისე ზორიულ წარსულიდან

ქალაქში ნისლი იდგა. ქუჩა და სახლები სუდარით შემოსილს გავდა. სქელ ნისლში ელექტროლაპტები ყვი თლად ბუტუვდა.

ორი დარბაისელი მოქალაქე პროსპექტზე ნელი ნაბიჯით მიდიოდა. როცა სასახლეს გაუსწორდენ, დამფუძნებელი კრების დარბაზი გაჩინდნებული დინახეს.

1 მოქალაქე:—ასეთ ნისლს ტფილისში პირველად ვხედავ!

2 მოქალაქე:—როგორც იყო, დღეს შემოვიდა ინგლისის საოკუპაციო ჯარი. ალბიონის შვილკას თავისი ქვეყნის ნისლი თან მოჰყავთ...

3 მოქ.:—იმ დარბაზში კი, როგორც სჩანს, დიდი ამბავია. დილაღად სხდომა არ შეწყვეტილა...

4 მოქ.:—და სულ ლაპარაკობენ?

II.

პროსპექტის სიწვიდე უკუჩად ფორდის ავტომობილმა დაარღვია. აქუსტის კოლოფი სწრაფად მირბოდა. გარბენილ მანძილზე მყოფი ცვამლის სქელ სვეტს სტოვებდა.

ავტომობილი გაჩერდა სახლის წინ, სადაც დილით ინგლისის ჯარი დაბანაკდა. კოლოფიდან ვაღმობტა მწვევარით კაცი: თავზე ბოხონი, ფეხზე გასაპნული უძირკვები, წელზე კონდახიანი მაუზერი.

—სად შეიძლება ვნახო თქვენი უფროსი?—ჰკითხა კარებში მდგარ ჯარისკაცს.

ბოხონიანი მოქალაქე მეორე სართულში აიყვანეს და ინგლისელ აფიცერს წაუდგინეს.

—მე გახლავარ გორგასალი!— ჩასხება ბოხონიანმა —გვაქვს პატივი გელაპარაკოთ ვითარცა მთავრობის წარმომადგენელი!

ინგლისელმა ზანტით მოქაჩა ჩიბუხი, გაუშვა კვამლი და ანიშნა სკამზე დამჯდარიყო.

აღღვებულმა გორგასალმა სკამს ბრაზით დახედა.

—პირიან მგფიდან ჩვენ დრომდე ისტორიას, რომ გადახედოთ, — ქლომინობდა გორგასალი, — გაიგებთ, რომ საქართველოში მრავალი უცხო ერის ჯარი ყოფილა მომსვლელი და წამსვლელი. მრავალს დაეუბრებევართ და აეუწიოკებივართ, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, ასეთი აბიდა ვინმეს უკმია...

—რაშია საქმე? — წარბი აუგვიმა ინგლისელმა.

გორგასალმა უღვავი გადაჩინა

—ზევრის ატანა შეგიძლია. მარა ასეთ თავსლაფის დასხმას კი,

ნურას უკაცრავად, ვერ გოუძლებთ. მივიღეთ ღირსეულად და პატიოსნად, თქვენ კი...

—ჩვენ კი? — მშვიდათ იკითხა ინგლისელმა, როცა აღღვებისგან გორგასალს სიტყვა დაუშვიანდა.

—თქვენ კი ფანჯარაზე პერანგის ამხანაგი გადმოკიდეთ!

ინგლისელი და გორგასალი მაშინ, ქუჩაში გავიდენ და სახლს ახედეს. ზედა სართულის ფანჯარაზე მართლაც ეკიდა მამაკაცის პერანგის ამხანაგი.

—სადაა პატრონი? — იკითხა აფიცერმა, როცა ისევ ზევით ავიდენ.

—ყველა კაფეში წავიდა! — მოახსენა მორიგემ.

—პერანგის ამხანაგი ჩამოსხნილი იქნება — თქვა მაშინ ინგლისელმა — როგორც კი პატრონი დაბრუნდება. მე გავგზავნი კაცს მის მოსაძებნათ!

გორგასალმა სწრაფად ჩაირბინა კიბე და ისევ ავტომობილში შეხტა.

III.

სამხედრო მინისტრი, კაცი მალაღი და მსუქანი, რომელსაც ძველი ხელობა ჯერ კიდევ ვერ დაევიწყა, თავისი ჯარის მდგომარეობის გასაცხობათ მოულოდნელად ყაზარმებს ეწვია.

მინისტრს ამაღა ახლდა. ამაღას მხრებზე პაგონები ეკერა, წელზე კი ხმალი და ფიშტო ეკიდა. თითონ მინისტრი კი უფრო მშვიდობიანი ჩანდა. კისერს ყელსახვევი უმშვენებდა, ხოლო ჯიბაში გულისა და ფილტვის სასინჯი მილი ჰქონდა.

სანამ ყაზარმაში შევიდოდა, ამაღით ჯერ ეზო მოიარა. მერე ფეხისადგილში შევიდა. ღამეში ვერაფერი გაარჩია. მხოლოდ მოესმა, ვილაც ახველებდა.

—სინათლე! — ბრძანა მინისტრმა.

ამალამ ჯიბეებში მოიფათურა. უცბად მრავალმა წუმწუმამ გაანათა. კუთხეში დინახეს ჩაკოქტული ჯარისკაცი. ყველამ ერთბაშად მიავყვირა:

—აღექ!

—რათ ზიხარ ამდენ ხანს? — კითხა ჯარისკაცს მინისტრმა. პასუხს არ დაუცადა, დააგლო ხელი, გასინჯა, ატრიალა და მერე ამაღას მიუბრუნდა: — არც ერთი ჯარისკაცი ამით ავადმყოფი არ უნდა იქნეს. ხეალვე გავიით ბრძანება. ინტენდანტებს კი სთხოვეთ ნაკლებათ იქურდონ და ხანდახან მაინც გამო-

ცხვარი პური მისცენ ჯარს... ამ დღილას კი სანიტარულ წესებზე ვაქცვის შესახებ ფურცელი იქნა გაკრული. ეს ჩემი პირველი გაჯარვლება უნაკლოთ შესარულეთ... ახლა კი ყაზარმებში!

გალავანში ამ დროს სრიალით, კვამლით და ბუკით ავტომობილი შემოიქრა. მანქანიდან სწრაფად გადმოხტა გორგასალი და მინისტრს მიაშურა.

—გვაქვს პატივი გაუწყოთ ბატონო მინისტრო, — ჩასხება გორგასალმა — რომ იმ დროიდან, რაც მირიან განმანათლებელმა არმაზის კერპი დაამზო...

—რაო? — იღრიალა მინისტრმა. — დაამზო? ვინ მისცა ნება? ახლავე დაატუსაღეთ!

—ბრძანებას სიამოვნებით შევასრულებდით ბატონო მინისტრო, — მიუგო გორგასალმა, — მაგრამ სამწუხაროდ დამანაშვე თუთხმეტი საუკუნეა რაც გარდაიცვალა...

—მერე და ამდენხანს რათ დაიგვიანე მაგის მოხსენება?! რას გავს ასეთი უთავბოლობა? — გაცხარდა მინისტრი.

გორგასალმა გაიხმო მინისტრი და ჩუმად ჰკითხა:

—ხედავთ რა ნისლია ქალაქში? მინისტრმა გარშემო მოიხედა. დაფრთხალი თვალები გორგასალს მიაჩერა.



—რა მოხდა? — იკითხა შეშინებულმა.

—ინგლისელებს მოჰყვათ! — აუხსნა გორგასალმა.

—თუ ღმერთი გწამს, ნუ ლაპარაკობ ამის შესახებ! — სთხოვა მინისტრმა — თუ ეს ნისლი ინგლისელებისაა, რა უფლება გვაქვს ჩვენ შევინწნოთ ის?

—მაშასადამე ვერც პერანგის ამხანაგზე ამოვიღებთ ხმას? — დაფეთდა გორგასალი. — ეს კი შეუძლებელია! გადმოუფენით ფანჯარაზე კაი ნოხივით და პატრონის მოსვლამდი მოხსნას არ აპირობენ. მართალია, პერანგის ამხანაგი ინგლისელს ეკუთარის, მაგრამ ჩიონე-ბურიდან თარგით არ განირჩევა. ბალახი კი მაინც დამდგარა ქუჩაში და შეყურებს ამ სურათს. თუ დროით არ იქნა ზომიბი მოიბოლო, ისეთი ბრბო შეიკრიბება, რომ შეძლიერ შესაძლოა აჯანყებაც მოხდეს...

როგორც იქნა გორგასალმა დაიყოლია მინისტრი და ორივამ მთავრობის თავმჯდომარის მიაშურა.



ელმავალს ვერ აშინებს
სიმძიმე და აღმართი.
ამშვენებს გადასარბენს
ელმართულების ხლართი.

შეუდგებოდა აღმართს,
დგებოდა როგორც ჯორი.
მგზავრებს მიჰქონდა ტყიდან
ფიხსი, შეშა და მორი.

ასეთი არის ჩვენი
სოცშენებლობის გზი.
სიბაყეა ჩვენი
დამკვეთი, პროვადიო.



ამაყვანებელმა მათა
ასე იყო იმის
აზრად და მათ
დასაწყისად
დასაწყისად
დასაწყისად



კოლექტივებმა მოსპეს
ღობე, ყორე და ზღვარი.
ტრაქტორი ხნავს და თესავს—
რკინის კაშენი-ხარი.

სახნისით ხნავდა ვლები
შივ ება ხარი ორი.
შემოთარგლოლი ჰქონდა
მიწა ღობით და ყორით.

ლია წერილი ნიანგს

ქართული
საბავშვო ჟურნალი

მოძ. სოლომონ ენატარტალაშვილისაგან, საქართველოს განსაზღვრების 12 წლის თავზე



დიდათ პატივცემულო, სასიქადულო და საყვარელო ბატ... ამხანაგო ნიანგო.

მოკითხვასა და ნახვის ნატერას მოვასხენებ, კარგად და ჯანმრთელად ყოფნას ვისურვებ, მრავალწელს მსიარულებას, მტრებისა და ორგულების, როგორც კლასის საცსებით ლიკვიდაციას, დაგიბრდებ.

გაგაკვირვებს ჩემი წერილი: არ ელოდები, არც გეისზმრია, თორემ ცხადში რა გაფიქრებინებდა, რომ მე, სოლომონ ენატარტალაშვილი, შენი მოსიყვარულე და ერთგული შევექნებოდი, ხელში კალმის ტარს ავიღებდი, დამტვერილ სამელნეს მო ვნახავდი და ქაღალდზე დაეანგულ კალამს ავაწრიბინებდი. ავაწრიბინებდი და მერე როგორ: შენდა ქებად, შენდა დიდებათ საყვარელო და სასიქადულო ნიანგო.

ვიცი, გაიღიმებ, შენს ლამაზად ჩაქიჩიკებულ კბილებს გამოამჩნეურებ, მხარზე ჩანგალს შეათამაშებ და იტყვი: გაუჭირდა გაიძვერასო, მაგრამ გეფიცები სინდისს, პატიოსნებას, ნამუსს (ამას გარდა არაფერი გამაჩნია და გამოგიტყდები, ამასაც საფიქრად მეზობლებში ვთხოვლობ ხოლმე), რომ ალალი გრძნოშენდამი ღრმა გრძნობა მალაპარაბა მალაპარაკებს. თორემ გაჭირდება რა საკადრისია.

გარდა ამისა, შენ, თუ არ დაგაიწყდა, ბრძნული ანდაზის თქმა იცოლი: ტარანა, ბიძია, ანგარიშით არისო. თუ ვახსოვს, მე მგონი შენი ამ უთად-ერთი ანდაზის სინდისიერი ამსრულებელი ვიყავი.

მოკლედ რომ მოვსჭრა, ჩემო შვირფასო და მარგალიტო, ნიანგო გადავსწყვიტე, რაც დრო დავკარგე ვიკმარო და აწი მაინც ვეშასაზურო საბჭოთა ხელისუფლებას.

გაგეცინა. ხარხარი ავიტყდა.

ოიტომ, შე კაცო, რა გაცინებს? რა სამსახური შემიძლია?

პატიოსნებას გეფიცები, შენი ხოლომონი, ამ თორმეტი წლის განმავლობაში უსაქმო არ ყოფილა. ის კი ღრა, ამაყად შეუძლია თქვას: არც მუ უკმაყოფილო ან უმძღური იყო, ჩვენი საზოგადოება მისი მუშაობით.

ყველას თავის ხელობა აქვს, ჩემო ძვირფასო.

მეც ჩემი ხელობა მქონდა და ლუკმა პურს ვქამდი სანამ...

ჰე, ყველაფერს დასასრული ჰქონია.

ჩემს მარჩენლებსაც დაუსრულდა იმედი...

მეც დამისრულდა... შარგლის სათავე, ტკბილი პურის ჭამა.

სულ თქვენი ბრალი კია, კომუნისტების (გულქვა ყოფილხართ) და რაკი ასეა, პური თქვენ უნდა მაქამოთ ახლა, ძვირფასო.

განა მუქთაოდ თქვენც არ მომიკვდეთ.

ამ თორმეტი წლის წინ, როცა თქვენ აიღეთ ძალაუფლება, მეტად მიღებული კაცი ვიყავი, თქვენ მიერ, მუშებისა და გლეხების მიერ ჩაწინაღობულ ხალხის წამალი ვიცოდი და იმიტომ.

ცხელცხელი ამბების ბიურო მქონდა გახსნილი, უკანასკნელ, უტყუარ ცნობებს ვაწვდიდი და იმიტომ:

— ესენი მიდიან? — შეკითხებოდენ.

— როგორ არა, ორ კვირაში მიდიან! — ვუბნებოდი.

— ჩვენები მოდიან?

— როგორ არა, ორ კვირაში მოდიან.

— უჰ, იქნებ მართლა, საიდან იცი?

— კერზონმა პუანკარეს რადიო გაუგზავნა, კომუნისტებმა კოპწიო საქართველო უნდა დასცალინო.

— უჰ, იქნებ მართლა. აი ვაცხონე მამა მისი. მერე, მერე... პუანკარემ რა შეუთვალა თუ იცი?

— როგორ თუ არ ვიცი. თუ ორ კვირაში არ გასულან, ნეკი უნდა ვაქანო და სულ ერთიანად ამოვჭლიტო.

— უჰ, შენს პირს მწყდები. წამო, გეთაყვა, წამოდი ერთი პურიც ვქამოთ, კერზონ - პუანკარესა და ჩვენების საღვთაგანლოც ვადაუშვით ყიაში.

ხარხარებ?

რატომ შე კაცო! ორი კვირაც გადიოდა და ორი წელიც, მაგრამ ამ ხალხს ჩემი მაინც სჯეროდა და მე რა შენადლებოდა.

მერე?

მერე და თქვენს წასვლას საშველი არ დაადგა. ჩემი მარჩენალი ხალხიც გაუყვა, ზოგი საიჭიოს, ზოგი სააქაოს, ზოგმა სად ცვითა თავი და ზოგმა სად.

პატივისცემამ ხუთი-ექვსი წლას თავზე იკლო, თუმცა ჩემი ცნობათა ბიურო ისევ გაცხოველებით მუშაობდა. ათი წლის თავზე პანაშვიდი ვადგინადე და ერთი კი გავეხეი, მახსოვს.

მას შემდეგ წაზდა ჩემი საქმე. ჩემი ყოფილი მუშტრები, ზოგი როგორც კლასი, ისე გაანადგურეთ, ზოგი კი უკლასოთ დაყალობს ქუჩა-ქუჩა, მარა შენი მტერია, ისინი, რომ არიან.

იღრინებიან, კბენას ლამობენ, მარა დამიჯერე, კბილები დამძვრალი აქვთ.

ახლა, ძვირფასო ნიანგ, თხოვნა ასეთი მაქვს: ვხედავ (თვლები რათ არ დამიღვა, დროზე, რომ ვერ დავიწახე) ვხედავ, რომ თქვენ კი არ „მიდიხართ“. ისინი კი მიდიან, მიდიან სამუდამოთ და უიმედოთ.

ამიყვანე სამსახურში ჩემი ცხელცხელი ამბების ბიუროში და როცა მკითხავენ:

— მიდიან? — ვეტყვი:

— მოდიან, ხალხო, მოდიან, მუშები და გლეხები მოდიან, წითელი დროშებით, ხუთწილები მოდიან.

გზა დაუცვალეთ, თორემ..

მაგრამ იცი რა ვითხრა?

დახურულ განმანაწილებელზე უნდა მიმამაგრო, პირველი კატეგორიის პურის ბარათი უნდა მომცე.

რას იცინი, შე კაცო?

ჩემი სამსახური არ გამოვადგება? დავმთები შენი მარად პატივისცემელი, ერთგული და მოსიყვარულე.

სოლომონ ენატარტალაშვილი.

წერილი ნიანგს მოვასხენე, ნიანგმა კი ბრძანა:

— სიძველეთა მუზეუმში მოათავსეთ, პარანიტულ განყოფილებაში. გახრწნის სუნის უღის, სპირტში მოათავსეთ.

ვასრულებთ.

სოფია.

25

იანვარი თებერვალი მარტი აპრილი მაისი ივნისი ივლისი აგვისტო სექტემბერი ოქტომბერი ნოემბერი დეკემბერი

ჩვენ ხელთ ჩავივლეთ მიმდინარე წლის კალენდარი, რომლის ყდაზე ვიღაც უცნობის მიერ ასეთი ტექსტია წარწერილი:

რიცხვი „25“ ჩვენთვის ისეთივე კვამატია, როგორც „13“

ამის შემდეგ ყოველი თვის „25“ რიცხვის ფურცელზე აღნიშნულია წითელი მელნით უცნობის წარწერები, რომლებიც ააშკარავენ მის მსოფლმხედველობას

25 იანვარი

- 1905 — შტრიკებზე თვალსმა ტვილისში
- 1906 — აჯანყება საქართველოში. დამსჯელმა რაზმმა გადასწვა ოზურგეთი.
- 1919 — კარლ ლებენტისა და 32 სხვა რევოლუციონერის დაჭრა ზღერდინში.
- 1921 — აბაღის კომპარტიის დაარსება

*— მისთვის შეწყობეს.
— კანსა ქაქა თა, უაღის იქნა.
— უაღის თაქანისი გასწვრივ.
— იქნა მისი? უაღის მუხლად*

25 თებერვალი

- 1910 — მღაბრის მუშათა გაფიცვა ანტონოვიში.
- 1921 — საქართველოში საბჭოთა ხელი-სუფლების დამყარება.

*— მისი მისი სკანს რევივი
— მისი მისი სკანს რევივი*

25 მარტი

- 1905 — გლეხთა ფართო მოძრაობა გორის მაზრაში.
- 1921 — საყოველთაო გაფიცვა შუა ვერმანიაში.

*— მისი მისი სკანს რევივი
— მისი მისი სკანს რევივი
— მისი მისი სკანს რევივი
— მისი მისი სკანს რევივი*

25 აპრილი

- 1905 — რს.-დ.მ.პ. მე-III ყრილობა ლონდონში.

*— მისი მისი სკანს რევივი
— მისი მისი სკანს რევივი*



25 მაისი

- 1875 — გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაარსება.
- 1919 — ჩეხოსლოვაკების კონტრრევოლუციონური შემოტევის დაწყება.
- 1925 — ცინდაოში ჩინელ მუშების დიხრება.

*— მისი მისი სკანს რევივი
— მისი მისი სკანს რევივი
— მისი მისი სკანს რევივი*



25 ივნისი

- 1864 — გიორგი ერისთავის გარდაცვალება.
- 1867 — მარქსის „კაპიტალის“ I ტომის გამოსვლა.

*— მისი მისი სკანს რევივი
— მისი მისი სკანს რევივი
— მისი მისი სკანს რევივი*



25 ივლისი

- 1826 — დეკაბრისტების ჩამოხრობა.
- 1930 — სპ. კომპ. ც.კ. დადგ. საყოველთაო პირველადწყობითი სწავლების შესახებ.

*— მისი მისი სკანს რევივი
— მისი მისი სკანს რევივი*



25 აგვისტო

- 1918 — დეკრეტი უძრავ ქონებაზე კერძო საკუთრების გაუქმების შესახებ რუსეთში.

— მისი მისი სკანს რევივი



25 სექტემბერი

- 1845 — პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალება.
- 1919 — ყუმბარის აფეთქება კომპარტიის მოსკოვის კომიტეტის სსდომზე.

*— მისი მისი სკანს რევივი
— მისი მისი სკანს რევივი
— მისი მისი სკანს რევივი*

25 ოქტომბერი

- 1864 — ბატონყობის „გადავარდნა“ აღმოსავლეთ საქართველოში.
- 1919 — ბულგარეთის გამოცხადება რესპუბლიკად.

*— მისი მისი სკანს რევივი
— მისი მისი სკანს რევივი*



7 ნოემბერი

პროლეტარული რევოლუციის დღე

*— მისი მისი სკანს რევივი
— მისი მისი სკანს რევივი*



25 დეკემბერი

- 1905 — მღვდლარება ბათუმის ვარნაში.
- 1905 — აჯანყების დაწყება გემ „ობოროვზე“ და „პანტელეიმონზე“.

— მისი მისი სკანს რევივი



25 იანვარი

- 1905 — საერთო გაფიცვის დაწყება ტფილისში.
- 1921 — საფრანგეთის კომპარტიის პირველი ყრილობა.

*— მისი მისი სკანს რევივი
— მისი მისი სკანს რევივი
— მისი მისი სკანს რევივი*

ვინ არის ეს ვაუბატონი? მაგრამ ამ კითხვებზე პასუხს მისივე წარწერები იძლევიან. თითო-ორიოლა (და შეიძლება მეტი) კიდევ არიან დარჩენილი ჩვენი პროლეტარული სახელმწიფოს აპარატში. მაგრამ მომავალ წმენდას ვერ დაუძვრებიან ასეთი „თეთრი კბილები და შავი გულემა“.

15 წელი სტალინის ხელმძღვანელობის საწარმოო სარსებზე

საბჭოთავი
კომუნისტური
პარტია

მონტაჟი მარიაშვილი





მებნებთან, თუ დღეს დიდი ობა-
აო, ოცდა ხუთ თებერვალს პრაზნი-
კობენო; მასლან. მამ თორმეტი
წლისთავია რაღა! ერთაა, ამ ბემუ-
რაზეში რამტოლხანს გასძლეს და!
გამიშვით რაღა, მეც ერთი რამე მა-
თქმევიანთ, გულის ბოხარი ეყარო.
მაგრამ რა ვთქო. მოთვლა არ
უნდა?

მენშევიკებს მოავრობა ხომ გა-
ხსოვთ. რა გეჭირდა მაშინ, ჩვენი
ჰამჭრის ხალხსა, ისინი თურმე ჩვენი
ძმები და პირის ზიარება იყვნენ,
ჩვენთვის ფეჭრობდნენ, ბურჯუებ-
თან, თავად-აზნაურობასთან, დღღლე
ბთანა და ტერტერებთან კავშირი
ქნეს, მუშებსა და გლეხებს აბრლი-
დი უყვეს. ატყუებდნენ რაღა, ასმა
მიწა თუ გინდათ, თავადისაგან იყი-
დეთო, სახლის ჰიშტა თუ გაქეთ, სა-
ზეინს ფული მიეცით; ერთის სიტყ-
ვით ჩვენთან იყვნენ რაღა, ჩვენი ძმე
ბი და პატრონები.

ახ, რამტოლი გრანიცის სახელმ-
წიფოები მაიყვანეს და! პუბუზ, გა-
ვიხედამდით — ლემენცი ბატონობს
და თავის პარიტებსა შვრება ამ
ჩვენს კულა ქვეყანაშია, ხვალ ვნა-
ხით, ანგლიჩის სახელმწიფო გამხ-
დარა ჩვენი ხაზეინი, მემრე იტალი-
ანციის პალკონიკი ბატონობს. ერთი
სიტყვით ეს ჩვენი საქართველო გას-
ტინიცაა რაღა, ვისაც ჰიშტა და ხო-
ში აქვს შამოდინ და ვადიან.

ამას ვინა სწუნობდა. ჩვენ რა
გეჭირდა. ჰამა ერთი რამე არ მამ-
წონდა. თითონ მინისტრობა დაიწ-
ყეს, ჩვენ კი ძველი პარიტები მოგ-
ვაკლეს, თითონ შნო არა ჰქონდათ,
საქმეებს ვერ აკეთებდნენ. ჩვენ შე-
შის საქრელათ. ყარაიაში გგაზაენი-
დნენ. ეე, ბლენა, მე და შეშის მამ-
ჭროლი. გილდის კუბეში ვარ, ხუთი
მალაზია მაქვს, თორთი თორმეტი
პრივაშაკი.

— გეო, წადი და შეშა სჭერო.
ვა, მერე სად? ტყეში. ახრ, ტყეში,
ტურა არ არი? კურდღელი, მელია,
რამე ტყეში არა ცხოვრობს? ერთი
ენახით, ხესა ვჭრი და ხის ძირში
ტურა ზის, მერე. უნდა შამჭამოს
რაღა, უტერტეროთ და უზიარებ-
ლათ.

ჰუნსურში ვჯავრობდით, ამაზე
დიდი უსიამოვნობა მოგვდიოდა.
ეე, სად იყო ქვეა. ილოცე რაღა,
იმათზე, ფეხები ფკოცე, შეშა კი
არა ქვა ამტვრივ, ის არ მერჩინა.
ჰამა ჩვენ ისევე ნიკოლოზი გვინდო-
და. იმისი იმედი გვქონდა.

ახრ, მუშებმაც გაუგეს იშკი-
ლები, გლეხებმაც ბევრგან ბუნტი
ქნეს, ჰამა იმათი სისხლით ქვეყანა
მორწყეს.

ერთი ცენახით, თებერვალა, ქუ
ჩებში მუშები გამოდიან ყვიროან:

— დალოი მენშევიკი პრავი-
ტელსტვა, იხმენიკ რაბოჩი ნარო-
დაო. ჰამა, ნიკოლოზი იმათ სჯობ-
და, თუ მენშევიკ დალოი, ზნაჩიტ,
რომ ნიკოლოზის მეტი ვინ იქნება-
მეთქი.

ერთი კვირა არ გასულა ბუნტა
დიდი ბუნტია, რომა მთელი ქვეყანა
ივლიჯება და ინგრევა. ისვრიან,
ბრძოლობენ, პუშკუ, ლევეროვ, პუ-
ლიმერე, რამე, ყველაფერს აგღე-
ბენ. ვახ, თავის სორო ხად არის
შადეცრეთ და! რა თქმა უნდა, დავი-
მალეთ. ვსხედვართ კრისებში და
უცდით ნიკოლოზს, თავის ყანდარმ,
აკალოჩნიკ ვარადოებით. ბან ჩუნის.



ოცდა ხუთი თებერვალი თენდე-
ბა. ქალაქში სირიშევა. იძახიან, თუ
მენშევიკები ჩამაადდეს, ჰამაც ზღვა-
ში ჩაადდეს და ესლა ისენი მოდი-
ნო.

— მოდიან, მოდიან! — გვესმო-
და კრიშაში.

— გეოჯან, იქნება მართლა მო-
დიან, გავიღეთ ვნახოთ.

გავდივართ, უყურებთ ვაა. დაბ-
რმავდით რაღა თვალეზო, ვისა ვნე-
დავთ, ამათ რაღა, კამუნისტებს ამ
ჩვენ დამტყვევებს და ქვეყნის ყი-
რაზე დამყენებლებს. ეს მილეტის
ხალხი მხიარულობს, პაზნიკს შვრე-
ბა, ჩვენ კი ეტირით. ვიძახით აფსუხ
მენშევიკებოჯან, ვაჭარი ხალხის,
ბურჯუების, თავად-აზნაურობის,
ღვღლებისა და ყველა ბიგების ძე-
ბო და მხსნელებო, სადა ხართ!

ვის ესმის. ამათ უყვ ხაზეინები
გახდნენ. ყველაფერი დაისაკუთრეს.
ჩვენი სახლები, მალაზიები, ქარხნები

რამე წაიღეს. არცა გვეკითხეს — ასმა
ქვეყნის ბატონები მუშები არიანო.

სადაური ზაკონია. ფული მაინც
მოგვეციოთ და. ვინ ვაგიგონა. წაი-
ღეს, რაღა, ყველაფერი წაიღეს. გა-
უმადლოებაც გამოდგნენ და რაც
ჩვენ წავგართვეს ხომ წავგართვეს,
ჰამაც თითონ დაიწყეს აშენება. მე-
რე რა აშენება და აქ შეხედამ დღეს
ტიტლიკანა შიწაა, პუბუზ, ერთი
კვირის შემდეგ ფაბრიკა წამოჭუნ-
ტებულა და მუშაობს. ავქალის ზე-
ვით, ათადანბაბადან ცარიელი მინ-
დორი იყო, ზედ ტურები უპრანე-
ნის შვრებოდნენ. ვათსარეს - გამო-
თხარეს, ინჯილორები დააყენეს, ინი-
რთიფირთეს და პუბუზ ზავესო. მე-
რე დაიწყეს და ყველა წყლის პირას
ზავესები და სხვადანსაგა გესები
აავეს. სენ ფაფრიკები თქვი, ქარხ-
ნები, სკოლები, შენობები მუშობის-
თვის — გზები და ქუჩები, სხვადა-
სხვა კულტურნი რამეები, ჰამაც ეს
უსწავლელი და ბნელი ხალხი სულ
ორამოტნი ვახადეს. ბებრებსაც კი
წერა - კითხვა ასწავლეს. მამ ეს სი-
გიჟე არ არის?

— ამითაც რომ ველარ ვადნენ, მე-
რე პიტოლეტკა ვამაიგონეს. შად-
გინეს დიდი პლანი და ისიც ოთხ წე-
ლიწადში შადსრულეს. შენ ნახე რა
ქნეს: სიხმარი მგონია, კაცი ოთხმო-
ცი წლისა მოგყრილვარ, დუნია მა-
მიგლია, ორჯერ პიტრებუხშიც იყო-
ფილვარ, ჰამა ამისთანა რამეები
ზოპარშიც არ ვამიგონია. ამტოლი
რამეების ვაკეთება თორმეტ წელი-
წადში... ერთაა, მაგათ რალს დააკ-
ლებ, კირკიტები ყოფილან.

ახლა სოფელში რა ქნეს და. იქაც
მისწვდნენ. ჩვენი იმედი და მურა-
ზი იქლა იყო დარჩენილი — კულა-
კები, ჩვენი ძმები გავანოგუშებდნენ,
სოფელი იმათ ხელში იყო — გლე-
ხობას სიქას აცლიდნენ. ეს გვატოც-
ხლებდა.

პუბუზ. ვამაიგონენ კოლენტივი-
ხაცია. პანლურ კულაკებს!

ასმა — კულაკობა როგორც
კლასი, უნდა მოგხბოთო. მოდი შენ
და ქვეა სთხოვე, ამტოლ სკოლებს
აღებენ და თანაც იძახიან: კლასო
მოესპოთო. ვა, კლასი სკოლას არა
აქუ?

მოკლეთ ვერადერი ვაუგე, ერ-
თის მეტი: მაგათი წასვლისა და და-
მარტების იმედი ვათავდა!

ჰაი გიდი ვამანაკ. ჰიშტა ვინა
ჰქონდა და ფლიფი კა ვის დარჩა.
ვარსადან.



საქართველოს „დასოუქიდებლობა“

(ხ. ავალიაშვილის აგავე სახელწოდების წიგნიდან)

„როცა ტრაპიზონში მოსალაპარაკებლად გაგზავნილი ამიერ-კავკასიის დელეგაცია გადმოვიდა გენიდან, ერთმა ოსმალომ შენიშნა: „თუ ეს არის პირობის შემცვერულ მეთერ მხარის მთელი მოხახლეობა, მაშინ მოსულთა რიცხვი მცირეა, და თუ ეს დელეგაციაა, მაშინ მათი რიცხვი დიდია“.

დელეგაცია შესდგებოდა 45 კაცისაგან... რიცხვი რასაკვირველია დიდია, მაგრამ... ამიერ-კავკასიის მთავრობა იყო შედარებით სწავლასხვა ეროვნული ერთეულებისაგან, ხოლო ცალკე ერთეულები ერთმანეთს არ ვნდობოდნენ“ (გვ. 33-34).

ოქტომბრის რევოლუციიდან გამოდნული ა.კ. მთავრობა, რომელსაც მიწვევებდა მშრომელი ნაგები დელეგატების ხმარებით ცვლილება გადმინის მოხდენას თხზა დღეზე“.

„ჩვენკელმა სამხედრო პირების თანხლებით წლავნით ჩაუარა რაზმს. წარმოსთქვა ხიტყვა... თვით ჯარისკაცებს კი არაფერი ეკარგებათ. საბასუსო მანდი არ იხმის“ (გვ. 53).

დიბ, არ იხმოდა „საბასუსო მანდი“, რადგან ჯარისკაცები არ თანაუგრძნობდნენ მთავრობას.

— გურიის გლეხობამ ამ გაზაფხულზე ომის განახლების გამო, რომელიც სენიმა ნაჩქარევად გადაწყვიტა, ბევრი იზარალა“ (გვ. 55).

და განა მართა გურიის გლეხობამ. მთელი ქვეყანა აკლებული იყო მუღმივი ომებით.

„ჩვენკელმა გაიმეორა, რომ ა.კ. დებულს ამ ხელშეკრულებას (ბრეტ-ლიტონსკის) სახეებით... რომ ამიერ-კავკასია იძულებული არ გახდარა იყო გარდა ბ.ლ. ხელშეკრულებით აღიზსულ ტერიტორიისა, კიდევ დაეძო ოსმალეთისათვის ასალი ტერიტორია“ (გვ. 56).

როცა ლენინმა ბრეტში ზავი შეკრა, მენშევიკები გაიძახოდნენ. — გავყვიდეს... ჩვენ არ მივიღებთ ამ პირობებით. მაგრამ შემდეგ კი უშინოდან მეტი არ მოეთხოვა ოსმალეთს.

„ტულისი, გენერალ კვინიტაძეს: გადაეცით საქართველოს ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმს შემდეგი: საქართველოს დაბოუქიდებლობის გამოცხადების კიდევ დაგვიანება გამოიწვევს გამოუსწორებელ შედეგებს“ (გვ. 58).

გენერალის გარდა პირველი კაცი ვერ ნახეს, რომ მომართვა გაეუზავათ.

„დაბოუქიდებლობა გამოცხადებული იქნება ხვალ 26 მაისს“.

იყო პასუხი მთავრობისაგან, რომელსაც არ შეჰქონდა თავისი მტკიცე და გარკვეული პოლიტიკის ხაზი.

„ვილკელში უთქვამს, რომ მამა მისი ფრი ორის დასწრება ალექსანდრე ნე-ჟეარის წერას, სადაც უნახავს საქართველოს დემოკრატი, რომელსაც თავს ეღვა რომაული ცხების მტკიცე გვირგვინი.“

როგორ მოგწონთ: საქართველოს გვირგვინი“ (გვ. 68).

ახე ელანდებოდათ მაშინდელ მეხეურო მონარქიის არადი. შეგნებულად აქეთკენ მიდიოდა მთავრობა.

„...თუ საქართველო იქნა შუა-ეუროპაზე დამყარება, მონარქიული ფორმა მისაღები და სასარგებლო იქნება საქართველოსათვის. ახე ესაუქვით, ეს არის მონარქიზმი ანგარიშითა და გონიერებით გამოწვეული“ (გვ. 71).

ეს იყო საქართველოს დელეგაციის პასუხი დ—რ ხიმონის შეკითხვაზე.

„არიან თუ არა საქართველოში ძველი დინასტიის შთამომავალი?“ (გვ. 72).

მონარქიულ გერმანიას მონარქიული საქართველო ამიტერუსებდა და ახითომ თქვა შემოსხენებული ხიტყვები რობანსა.

„ქემი თხოვნა, ნება მოიცათ ზემოთის საქართველოს მთავრობის დაყიდებნი ჩვენს ლიყავი ლონდონში საქართველოს დამოუკიდებლობის ენობის საქმეების განო“ (გვ. 126).

გერმანიის დამარცხების შემდეგ ორენტიცა იკლდება, ახლა ლონდონში მიიქარაიან.

„მთ კანცელარიაში დაიწყო საქმე „საქართველო“.

„უხარია დელეგაციას, რომ ხაერანგეთის გარეშე საქმეთა ხამინისტროს კანცელარიის ჩინოვიტემა პაპკას „საქართველო“ დააწერა... დიდი საქმე გაკეთებულა...“

„ინგლისელების მაგიერ ა.კ.ში მოსულის სურვილი განაცხადა იტალიაში“.

იმგლისმა თავისი გაზრდებოლ გამო არ შეიწყნარა მენშევიკების ველრება და დატოვა საქართველო. „თავრობის სიხარულს საზრდარი არ შეჰქონდა, რაცა იტალიის ჯავი შემოვიდა ჩვენში“.

„საქართველოს ბუნებრივ სიმდიორსად... მი ინტერესი იტალიელებმა გამოამუღუნენ პირველ შეხვედრისთანავე“ (გვ. 175).

აქედან აშკარაა — რატომ მოდიოდნენ უცხოელები ჩვენში. მენშევიკები კი გაიძახოდნენ — ეგრეთამ გვიქონი ჩვენ, ჩვენ შევედით მათ იფაქსიო.

„სომხეთზე ამერიკის მანდატი, რომ განხორციელებულიყო, საქართველოც შეიქნებოდა შეერთებულ შტატების ყარაღლების სავანდ“ (გვ. 179).

ინგლისს იტალიაც მალე გაჰყვა. დარჩა უპატრონოდ მენშევიკური მთავრობა. ამერიკაზე აიღეს კურსი, მაგრამ... რაც მოხდა ჩვე უკვე ვიცით...“

ნახ. ქოჩიაშვილის



ფელაისკრილი ანადკება ეს „ოკი“ და იგი „ერთი“ ბრძელი ცხვირით ეს ფაზისტი ღბას იმის წინ კოგორც ღმერ-თი!



ქველი და ახალი

ნიკო ხანჯალაძეს ორჯერ შეხვდა საქართველოს გასაბჭოებამდე მის მშობლიურ სოფელ ოკრიბის „დაობლება“ და რკინის გზით „გასეირნება“ ერთხელ ტფილისში იყო და მეორეჯერ ფოთი ინახულა. მისი მგზავრობა სწორედ მენშევიკურ ანარქიის ხანაში მოხდა. გასაბჭოებას ნიკო ადვილად შეურიგდა, რადგან იგი ძველი რეჟიმის დროსაც გაპროლეტარებული აზნაური იყო და რაც უმთავრესია, — შეურიგდა მიტომ, რომ მისი შვილი — შურა კომუნისტი იყო.

ამას წინად ნიკო ტფილისში ჩამოვიდა შვილის სანახავად. ჩამოვიდა ხმლით, ქამარ-ხანჯლით ქოლგით (თუმცა არა წვიმდა) კალოშებით (ტფილისის ქუჩები ჩვეულებრივ მშრალი იყო), ნაბადში გახვეული წამოსვლისას ხრესილის სადგურში კილამ დარჩა, რადგან მესამე ზარის მიცემამდე არ კადრულობდა ვაგონში შესვლას და როცა დარწმუნდა რომ ორთქლმავალი „არ ხუმრობდა“ და მართლა მიდიოდა, გაქანებულ მატარებელს ისე გამოენთო, თითქოს ღუგუასის გახელებულ ჯორს უპირებდა კულში ხელის ჩაგლებას.

— ვის ვაუგონია, ყმაწვილო, მატარებლის მესამე ზარის დაკვრამდე წასვლა! — გულმოსულად ჩაილაპარაკა როცა ვაგონში შევიდა!

კომუნისტებმა ამისთანა კანონი შემოიღეს, რადგან „ღმერთი სამეზობლო არის“ და ჩვენ კი მისი ყოფნა არ გვინდა, მატარებელი მეორე ზარის მერე უნდა წავიდეს! — იხუმრა ვილაკამ.

ტფილისში ჩამოსვლისას ნიკონ გაშალა თავისი ქოლგა სადგურის მოედანთან და ისე „ჯიქურ“ მოინდომა ტრამვაის ვიწრო კარებში შესვლა. გაოცებულმა მგზავრებმა ძლივს დააკეციეს.

— არ შეიძლება შემოდგომის თბილ დღეებში ოპერის თეატრში ნაბადით, ქოლგით და კალოშებით წასვლა! — აუხსნა შვილმა ოპერაში გამგზავრების წინ. ნიკო ბედს (უკეთ რომ ვთქვათ — შვილს) დამორჩილდა.

თეატრში მეორე იარუსის აივანზე მოხვდნენ.

ბნელში, როდესაც მოქმედება

ფყალ ფაღეზული

ნახ. ისაყვის



— იტყვიან: „საითაც გავიქვც, იქით წავიქვც“... სწორედ ასეა ჩემი საქმე. მგონი აქაც იგივე მოხდება, რაც ჩვენში მოხდა.

მიმდინარეობდა ნიკომ გადიღირა კისერი და „ზდილობიანად“ „გააპურკვა“.

— ვინ არის ეს ხულიგანი, რომ მადლიდან იფურთხება?

— იდიოტ!..

— მერზავეც! — ახმაურდა დაზარალებული პარტერი.

— არ შეიძლება გაფურთხება! ხომ არ გადირიე, აქ შენი სახლი ხომ არ არის?! — ჩასჩურჩულა გაბრაზებულმა და სირცხვილით ხმაში ბნელილმა შურამ.

ნიკო ჩაჩუმდა... თუმცა უნებურად და ბრაზი, რომ ასე „უკანონოდ“ გალანძღეს და მისი ღვიძლი შვილიც მისი მამის „მტრებს“ მიემხრო, — „სამოქმედოდ“ იწვევდა. უნდა მოსაკლავო ამოიღო თავისი გრძელი ყალიონი, გატენა თამბაქოთი, შემდეგ ამოიღო ბენზინის ასან-

თი და ბნელ დარბაზში ყალიონს მოუკიდა.

— უუ! უუ! — იყვირეს ამის დანახვზე გალიორკის „ცნობის მოყვარე“ და „ტემპერამენტუანებმა“.

— რას შეგები მამაჩემო?! ვის ვაუგონია, როგორ შეიძლება საოიატრო დარბაზში თუთუნის მოწევა? — მიაცვირა. შურამ.

— საცინად მივდებთ ყმაწვილომ პირი ხომ არ შეგეკრავთ ჩემ წინააღმდეგ? ტრამვაისში გაშლილი ქოლგით შესვლა არ შეიძლება, ნაბადს მოსხმა არ შეიძლება. გაფურთხება არ შეიძლება, თამბაქოს წვევა არ შეიძლება, — ეს არი თქვენი ცოცხალი პირი. ჩვენ აწი თქვენს ჩამომსვლელი! — დაიძახა ნიკომ და პირდაპირ რკინის გზის სადგურისკენ გაეშურა.

მედუზა

შეაღწე და მიხვალე

ორი ხანა

რეზი ზეიმი

ეროვნული
გეგმობითი

წითელარმიელი



წითელ ჯარში მივდივართ, იქით მივხიზარია. უმარწილებო, ერთმანეთს გაფუჭოლოთ მხარია! ოქტომბერში დარეკა ახალ ცხოვრების წარმა. სკოლა არის ნამდვილი დღეს წითელი უწარმა. მეთაურთან, უფროსთან კავშირი გვაქვს ძმურია, „ამხანაგოს“ ვუწოდებთ, არ გვშია. არ გვწყურია. პროლეტარულ სამშობლოს ვიცით დაცვა სჭირია, ვინც გაზედავს თავდასხმას, მოემტვრევა ცხვირია.

ხალდათი



ხალდათობა მომიწია გიორგობის თვეშია; შინ მშობლები დავტოვე მწუხარების დღეშია. მივდივართ და გშორდებით მამულს და ვენახს, უფელას გებრალღბადე, ვისაც თვლით გენახს. წამიყვანეს რუსეთში, არ ვიცოდი რუსული. გვცემდნენ. პურს არ გვაჭმედდენ ამოგვხადეს ჩვენ სული. მოხუც დედას გვაგინებდა მულამ ოფიცირია. თავში გავიყვანეს მუშტები, და თვალში კი — იკრია. მხედარი.

ბერსიბი.

თქვენთან სამალავი რა მაქვს: ამ საბჭოთა მთავრობამ დიდი განათლება კი შეიტანა ხალხში და სხვები თქვენ იცით.

ერთი სიტყვით ჩვენს ოჯახში ტრაქტორი პირდაპირ მოშინაურებული დათვის ბელივითაა (ღრიალი ქე უყვარს მასაც).

ვეილოთ ბატონო, გაუპიროვნების ლიკვიდაცია. ძველად ვინ იცოდა რა იყო ლიკვიდაცია. ჩემთვის, რომ გვეთხათ, რამე საჭმელი იჩიბა მეთქი გეტყვოდი. ახლა გაუპიროვნების ლიკვიდაციაზე ისე ლაპარაკობს ხეობა ჩემი, რადარც ქიჭვი ფხალის გაკეთებაზე.

გადავიდეთ თუ ვინდა განათებაზე. წინათ ქრაქის ჭვარტლით ამოფსებულნი მქონდა თვალები. ახლა ააშენა ლმერთმა ზაპისის გამკეთებელი, გამოგვიგზავნეს ტფილისიდან ბატონი და გიყვარდეს აი ელექტრონი! მართალია, სახლში კი არ მაქვს გაყვანილი, მარა ჩვენს კლასს, კლუბს და კოოპერატივს დღესავით ანათებს (თუმცაღა, კოოპერატივში ელექტრონი კი არა, შვიდასი მზეი რომ შეანათო, საქონლს ნატამალს ვერ ნახავ).

ვეილოთ მგალითად რკინის გზაი, ხაზურში ვიყავი და ელექტრომაგალი რომ ვნახე, გავშტერდი და გავჩიინდა კაცი! კი იბახოდინ ოლექტრომაგალიო, მაგრამ მე ელექტრონის მამალი იყო მეგონა, ხოდა, თურმე პარავოზია. მარა პარა არ ქონე ბია ისეთი მივა ელექტრონით! დავგლოცა ბუნებაე სამართალი. რას არ ვამეიგონენ აი ბალშიოიკები!

ეილე ბატონო რიონჰესი, ავარის შაქრის ფაბრიკა, ოთხმოცდაათი სხვაი ქარხანა, ათასი ტრაქტორი, კაი მოყოლა სამანქანო-სატრაქტორო სტანციე. სამი ათასი კოლექტივი. აუარებელი საბჭოთა სოცხოზი, და იიგეფე მაშვნ, აი საბჭ. ხელი-სოფლებსა გობია, თუ ბღინკიანი მენშევიკები... შეადარე და ვისაც ქუთა გაქ შამოი აგერ კოლექტივში, შეადარე ხო, მარა რადერ შეიძლება შედარება, აქიდან და იერუსალიმი, ამფერი განსხავებაა, გასკლით კუპზე კულაკებო. კურმუხეთში თქვენი თავი და ტანი!

არაფერი არვის მმართვეს, გადვიხედე „ქოლეგო“ ვალი, მიხარია დღე ზეიმის ოცდახუთი თებერვალი. მახსოვს ის დღე, მენშევიკებს, რომ ავეიდეთ ხურგზე ვუდა, მახსოვს, როცა მათი ტახტი პირუკულმა გადაბრუნდა. ის მთავრობა, სუსტი იყო დღეც არ ქონდა საწყალს გრძელი,

და მიხეზიც იგი ვახდა. რომ მოსტეხეს თავი, წელი. როცა ნომ ხელის ქნევით ჩაიარა გემის ანძი, როცა ნახეს გაიტაცა; ოქრო. ვიოხლი, თული. განძი, მაშინ მიხედენ, ვინც აქდარია ვინც უწევდა იმთ ხილებს, რომ ქონება საქართველოს ჩააბარეს ინგლისელებს. ჩვენ ქვეყანას ამო შემდეგ დაჭარეს თობი. დაჭარეს ბარი, ფაბრიკებით მოიოინა დიდუბე და ავლაბარი. შირაქის ვილს სამიკრილებმა გაადიდეს ნათის ღვარი, ილაზანში ბამბა ეთისეთ უდაბნოში გაჩნდა ცხვარი. შავი დღეი დავაყენეთ კულას, ვაჭრებს მასთან ჩარჩებს, მუჭათ-ხორებს აღარ ვაძლეეთ ხალხისაგან გამოსარჩინს. საბადლოთ კი კოოპირივებს გაუმართეთ ვგზომ ხელი, მშენებლობა გააჩაღეთ, და ავიღეთ ტემბი ცხელი. ელმაგლები მოჭინეთ იქ სურამის უღელტეხილს. ღირსეთლად დავცხეთ ფერდში სოფლის კულას, დღეს მოტეხილს

იმერეთის თავადები რომ უკრაიონ წინათ არღანს. რკინის ლექვა დავავალეთ ამ ადგილას ფიროზარანს. ქუთაისიც დავამშვენეთ, დავამყარეთ იქაც წესი, ხვალ, ზეგ ელიონს გვიფეშკაშებს

კობტა ბიჭი: რიონჰესი. ჩვენ დავიპყრობთ ტეხნიკური, ათე-სების მწვერვალს, პათოსს, ნავთის ქარხნებს განამტკიცებთ გავამწვანებთ ძია ზათამს. ჩაის მინდვრებს, რომ შეხედოს, ვერ გაუძლებს მტრების თვალი, ჩვენ წინ წავლათ, კიდევ მრავალს მოგვეიბს დიდი თებერვალი. ს. ძნელოლი





ნიანბის სპობტული



ოჯორგათი

„ოჯორგათის ჩიის ინსტიტუტის სამეცნიერო ნაწილის გამგეობის სალუქვაძე და გიორგაძე პროტექციით ვარემე პირთ ამარაგებენ შემით, ხოლო ინსტიტუტის შენობა მულამ ტაუთობილია შემის უტონლობას მომიზნებით“

ზაიკო

„ზაენოზები“ ყოფილან ჩინებული აი, საღ!
(რალა უჭირს ინსტიტუტს თხურგეთის ჩაისა!)



მაგრამ ერთი ვიცი თხოთ (ეს თავი და თავია) დირექციამ თუ იცის ნეტავ ეს ამბავია?

აფრინდა პავლე, აფრინდა!

„სტალინისას რაი კოოპკავშირის გამგე სურამის მასწავლებელთათვის კულტურულ საქონელს სხებებს უნაწილებს“

ალია

აფრინდა პავლე, აფრინდა ხაშური ჩაინადირა, სურამს დაეცა პეფეგოგო ცრაო ცრემლები აღინა.



მათი კუთენილრ სურსათი საღლაკ სოროში აძვრინა, ზოგი მან თავად მიიროთა, ზოგიც ძმა-ბიჭებს აწვდინა!

ლოთახი ფოსტის გაგმევათ

„ოჯორგათის ფოსტა - ტელეგრაფის კანტორის უფროსი და მისი თანამშემე შხორად ლოთოზენ და მთავრალბი ასდენენ დეპოშებს“

კახი

ოჯორგათის ფოსტის გამგე ვაკი არის თავმომწონე, თურმე ღვინო მას ამხნევებს და უმატებს მკლავში ღონეს;

თანამშემევეც ყადრს არ უტენს დახვეული მუჭთად ჭამას,



დათვრებიან და ჩხუბობენ ხან მღერიან ჩარო-რამას!

უპატრონო საღვური

„საღვ. საღვევანოში ღამ - ღამობით დანარს არ ანთებენ და მულამ ბნელა, რითაც სარგებლობენ ჭურდ - ბაცაცები, საღვურის უფროსი ამ გარემოებს ყურადღებას არ აქცევს“

გიიინო

საღვურში თუ ბნელა მულამ მართლაც არის დესალონი;




ვას, საღვურო საღვევანო არ გყოლია შენ პატრონი...!

გადიანი თავგაჯღოგაკი

„სოფ. ღესას (გურია) კოლექტივის თავმჯდომარეს ანგარიშის დროს „დააკლდა“ კოლექტივის ფული 1600 მანეთი“

ღვვი

ვიცი თ — სოფელი ღესაო რომ წინ-წინ მიდის დღესაო, კოლექტიური შრომითა თეალებს დაუესებს მტერსაო,



მაგრამ არ ვარვა როდესაც ამას უშლიან ხელსაო, თავმჯდომარე თუ ჭურდია, ვაი იმის შავ დღესაო! ამოსცხეთ მაგრად პანდური, იწყოს ტირილი, კვენესაო!

ჟონიან ნიჩაზე

„ზესტაფონის ტელეფონის საღვურის მოსამსახურე ქალი უფრო მეტ დროს ლაზლანდარობას ანდომებს ვიდრე თავის მოვალეობის შესრულებას“

გ. ილგელი

ტელეფონის საღვურში თუ არ შიყოფს ქალია, და საქმეს არ აკეთებს ამისთვის არ სცალია,



ქონიანი ნიჩაბი მოუხლებმა ძალიან. ვის ეხება ნეტავ ეს, ნეტავ ვისი ვალია?

იბაზღება და ახლო ხანში ბაგოვა

ს. თოდრიას

ახალი ნაწარმოები:

„ქართლის ცხოვრება“

იუგოსლავური-ლემსით თქმული

წიგნი შეიცავს 106 გვერდს





და იყო ქვეყანას ამას ვორთლო-
ვოი და ბატონობდა მათრახი მისი,
რომელს გამჭონდა ტოაშუნი ზურ-
გს რედა ყოველი მშრომელისა.

მოხდა რევოლუცია და ვორთლო
ვოიმ მათრახი იგი გადასცა ეშმუ-
ყსა და უთხოვა:

— ამიერიდან მათრახი ესე ჩაი-

ბარე შენ, რამეთუ გამოგადგების, ვი
თარცა ჩვენ გვადგებოდა!

და სამართავე ეშმაკმა მათრახი
და იგი მთელიდან მუნ მიივლინა
ხალხს მითითებათა კულაკისა და
თავადისა მშობების მათრახნი.

ხოლო თებერვალსა 25-სა სამუ-
დამოდ განიდევნა იგი მათრახითა
თავისა.

ვინაიდან ნიანგს
მასელი აქვს სმენა,
და მუსიკა უყვარს,—
ვერ იტანს მოწყენას!
ის ხშირად ესწრება
სპექტაკლებს თბერის,
და მეტ სიხარულს გრძნობს
როს იქ ლადონ მღერის!
იცნობს დიდი კარვად
უფრია, ვიღრე სწვანი,
უყვარს მისი ხმისა
კილო გამყვივანი!
და როცა უხდიან
(ვით ღირსიულ შევილს!)
კულთენილ იუზილეს
ოცდასუთი წლისა—
ნიანგიც ზვიმობს.
უხარია, მაშა:
გაუმარჯოს ლადოს!
იღვრებოთ, ვაშა!

გ უ რ უ ლ ი ს ტ ე ნ ა

— გამარჯობა ყაისარ.
გამარჯობა ალმასხან.

— ბიჭო, რომ დავიოთა გელზე მია წი
თელო ლენტი, რთის იყავი შენ კომუნის-
ტი? მენშევიკების დროს შენ არ იყავი,
რომ სულ ბდდვირს ადენდი ნაკარში და
გეიძახოდნ—ჩვენს მთავრობას გამარჯობა!

— ნუ გამსენებ, თვარა ავიღებ ამ
სარს და გროლვებ თავში. მაშინ ჩემი ამბა-
ვი კი არა. შენად დავაიწვდებ, მარა რა
და დროს იქნება.

სასულელე ვის, არ მოსვლია ცხოვრება-
ში. მართლა სულელი ვიყავი. კაცს სახში
ერთი ყლახტი დვირო არ მქონდა, ხალაში
თავებში სიმშვილით ვედიბოდენ, და მი კი
დავბოდი დრონტზე—ეს სომეხი, ეს ოსიო,
ეს თათარი და რა ვიცი.

მასსოვს პარახოდში რომ ჯდებოდა შა-
შინდელი მთავრობა (მინც რამდენი ნოე-

ტი გეყავდა), დავებარა—არ შეზინდეთ,
ჩვენ მალე მოვლათა.

სულთქოღვილო ერთხანს ქე ველოდებო-
და; მეგობა-სიტყვას შეასრულებენ და მო-
ვლიან-მეთქი, მარა მერე ვიფიქრე—სხვა
რომელი დაპირება და სიტყვა შეასრულეს,
რომ ეს შეასრულონ-მეთქი, მეც ავდექი
და როცა დეინახე რომ აი კომუნისტები
ყოლიდურს აკეთებენ, ქე გამიცივდა გული
იმ მთავრობაზე

ბიჭო, მარტო კოლექტივი რომ ეილო
კაცმა, ავი რა დირს.

ყოველთვის რა ბდდნაი და ცემატყვა-
გექონდა მეზობლებს სასლორისა, ახლა ქე
ვართ მშვიდობიანათ.

კათა ძმავ, კათა, მაშინ იგი ქამდა ვინც
არ მუშაობდა, ახლა კი—იგი ქამს ვინც
მუშაობს...


კაცო, ახლა მე რა მიკვირს იცი—ნეუ-
ველი იმისათაა ბრევი, ვიყავი, რომ მენ-
შევიკებს ვუჯარბდი!

არა ძეო, ახლანდელი მთავრობა არის
ზედამოჭრილი ჩვენი მთავრობა და მო-
გიკვდეს ყაისარა ტრაქტორაზე, თუ არ ლუ
უმტკიყო მას ჩემი ერთგულმა!

თავი ქე გამტყვადი დამკარვლად. ნოე-
ციეს ლენა ისე მაგრად დავქრა მოახლოე
ბულ თენვის დროს, რომ ჩენი კოლექტი-
ვი პირველი გამოვიდის. მოდი ერთი, აღ-
მასხან სინდურას დევიწყებ და შენ მოძხი
ლი მოაქარი:

თებერვალი არის,
ჩვენი თქომბურნი,
ყველა ფერებს მიჯობს
მე წითელი ფერი..





მინისტრი: — ვინ იცის, ეზუ თქვენ ჩვენზე ბედნიერი ხართ თქვენ თავმესაზარი ჩვენთან კოვით. ჩვენ რომ თქვენს ღლები ჩავვარდეთ, რაც აღვილად მოსალოდნელია, სადღა გვექნება თავმესაზარი ?!

რედაქციის მისმართი: ჯორჯიაშვილის № 6 (დოსტის ყუთი № 56), ტელეფონი 24-08. ჟურნ. თეზი კამოლის ორჯამი. ჟურნალის ფასი: 1 თვეში — 80 კაპ. 2 თვეში — 2 მან. 40 კაპ. 6 თვეში — 4 მან. 80 კაპ. წელიწადში — 9 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი — 40 კაპ. ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ ზოსტაში. დაუბეჭდავი მასალები არ ინახება და რედაქცია მათ შესახებ არც მიმოწერს კისრულობს. რედაქცია ღიაა 11-4 საათებში. მთავალიტი 2400 სტამბა „კომუნისტი“. გამოცემა გაზ. „ნუგეზი“-ს. ტირაჟი 20.000